



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №23(61) 2013 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა
თანობიერი

სოფლის მეურნეობა
მოვაგალი წლის მოსავლისათვის



2013 წლის 10 დეკემბერი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის ტრადიციული თათბირი მიჰყავდა ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ბენიამინ მარტიანიშვილს. თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები.

თათბირზე ვრცლად იყო მიმოხილული თითოეული ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მიმდინარე პროექტების სამუშაო რეჟიმი, განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მიმდინარე სამუშაოების შესრულების ხარისხზე, ვადებზე, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რწმუნებულების იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ აკისრიათ პროექტების განხორციელების საკითხში. თათბირზე, ასევე განხილულ იქნა თბობის სეზონთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამ-

სახურის უფროსმა ნიკო ჯამახიშვილმა ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს გააცნო ინფორმაცია, რომელიც მათ თავიანთი ტერიტორიული ორგანოს მოსახლეობას უნდა განუმარტონ. საუბარია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ იმ კანონის ძალაში შესვლაზე, რომელიც გულისხმობს სოციალურად წვრილი გლეხური მეურნეობების ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ნებაყოფლობით შექმნას, მათ ხელშეწყობას და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. როგორც მან აღნიშნა, უკვე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი –სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს.

ასევე, თათბირზე ქალაქისა და ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს მიუცათ დავალება – კიდევ ერთხელ გადახედონ სიას იმ მოქალაქეებისას, რომელთაც 2013 წლის გაზაფხულზე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ბარათი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 1 დეკემბრისათვის სულ მთლიანად მუნიციპალიტეტში დათესილი იყო 7397 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები. აქედან ხორბალი 5185, ქერი 2055 და ბალახები 157 ჰექტარზე. მარცვლეულის თესვა კვლავ გრძელდება. იგივე სამსახურის მონაცემებით იქ, სადაც ადრე დაითესა ეს კულტურები, კარგი აღმონაცენიცაა.



ბაზრიშუქით
ბაზითი

„ბარეჯის მაცნე“

- 1 თვე _ 1 ლარი
- 6 თვე _ 6 ლარი
- 12 თვე _ 12 ლარი



დასასრული

მუნიციპალიტეტის საკრებულო

რიკარდო სხლომა

3 დეკემბერი, 2013 წელი

5 ნოემბრის № 197 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ განხილვისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ – მომხსენებელი **ილია ჰიაშორელი**.

სხლომის დღის წესრიგის I საპითხზე მომხსენებელმა სხლომის მონაწილეებს გააცნო „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2013 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 2013 წლის 22 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი“. მან დეპუტატებს კიდევ ერთხელ შეახსენა აღნიშნული პრობლემის მოქმედებისა და განხორციელების ვადა, პროგრამის ბიუჯეტი, პროგრამის დაფინანსების წყარო, სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფები, სოციალური დახმარების ოდენობა და აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტს, რომელიც 507620 ლარს შეადგენდა, უნდა დაემატოს 40000 ლარი, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდება: 20000 ლარი –

ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომელთაც სარეიტინგო ქულა 57000-დან 100000-მდე აქვთ, მიეცემა ერთჯერადი დახმარების სახით. 5000 ლარი – სტაციონარული მეურნეობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის, ხოლო 15000 ლარი „სათნოების სახლების“ ბენეფიციართათვის საახალწლო საჩუქრების შესაძენად.

როგორც დღის წესრიგის **II საპითხის** ირგვლივ მომხსენებელმა აღნიშნა, სახელმწიფო და ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისათვის აუცილებელი შეიქმნა ცვლილებების შეტანა, რომლის შესახებაც დრამა და საფუძვლიანად იმსჯელეს

საკრებულოს კომისიისა და ფრაქციების თავმჯდომარეებმა და დეპუტატებმა.

III საპითხის შესახებ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი იყო ვრცელი მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობებისა და ინვენტარის მიზნობრივი ექსპლოატაციისა და ვარგისიანობის მიზნით შექმნილმა სამუშაო სარევიზიო ჯგუფმა მუშაობის პერიოდში გასწავა.

დღის წესრიგის **IV საპითხის** განხილვისას მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს 29 ნოემბრის სხდომაზე საკრებულოს ფრაქციების „თანადგომა

ბიძინა ივანიშვილის“, „თავისუფალი დემოკრატების“, პოლიტიკური პარტიების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და „ეროვნული ფორუმი“ საგარეჯოს ორგანიზაციების მიერ შემოტანილი ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ საკრებულოში შეიქმნა საკრებულოში ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამ ჯგუფის შექმნის აუცილებლობა კი, მომხსენებლის განმარტებით, გამოიწვია საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნამ (ბიულეტენი). სხდომაზე იმსჯელეს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და გადაწყდა – ჯგუფი განისაზღვროს 5 წევრის ოდენობით. მათგან ერთი მოწვეული ექსპერტი იქნება, დანარჩენი 4 კი – საკრებულოს დეპუტატები: პაატა ბუზარიაშვილი, ვანო გრძელაშვილი, ვაჟა ბაზერაშვილი, ნიკო ნახუცრიშვილი.

დეპუტატებმა სხდომაზე განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

თავი

დუზაბრამა



დეპუტატი
ჰაჯან ალიევი

დან ბოლომდე შეისწავლო და გაიზიარო შენი ხალხის ჭირ-ვარამი. დღეს სწორედ ამ საკითხებზე ვთხოვეთ ჰაჯანს საუბარი.

ცნობისათვის: თემის მიწის ფართობი სულ – 1598 ჰა

აქედან: კერძო – 396 ჰა

სახელმწიფო – 1202 ჰა

სასოფლო-სამეურნეო მიწები სულ – 1427 ჰა

აქედან: კერძო – 396 ჰა

სახელმწიფო – 1031 ჰა

სახნავე – 740 ჰა

აქედან: კერძო – 740

სათიბი – 0

საძოვარი – 619 ჰა

აქედან: კერძო – 140 ჰა

სახელმწიფო – 479 ჰა

დუზაბრამის თემში სამი სოფელი შედის: დუზაბრამა, წიწვბაიანი და პალდო.

თემის რწმუნებულისა **ჰამილ ბასანოვი**, დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში **ჰაჯან ალიევი**.

ჰაჯან ალიევი დაიბადა 1960 წელს, დუზაბრამაში. სწავლა ჯერ ყვარულში დაიწყო, შემდეგ საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში გააგრძელა და 1977 წელს დაამთავრა. მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური და საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა ოპერატიულ მუშაკად. მუშაობდა საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირად, პარალელურად დაამთავრა საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი მექანიზაციის განხორით. ასევე, მუშაობდა გიორგიშინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად, დუზაბრამის მებოსტნეობა-მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ავტოფარეხის უფროსად, საგარეჯოს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციაში ოსტატად. 1992 წლიდან არჩეულ იქნა საგარეჯოს რაიონის საკრებულოს დეპუტატად და უკვე 21 წელია ამ თემის მოსახლეობის რჩეულია. მიმდინარე წლის ოქტომბერში ჰაჯან ალიევი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „საგარეჯოელების“ თავმჯდომარეა. 1997 წლიდან ამა წლის ნოემბრამდე ჰაჯან ალიევი სს კახეთის ენერჯოლისტობუციის საგარეჯოს ელექტროსერვისის აბონენტთა მომსახურების ორმულანდოს ცენტრის უფროსად მუშაობდა.

რითი სურთქავს დუზაბრამის თემი, რა უჭირს, რა პრობლემები აქვს თითოეულ ოჯახს, ჰაჯან ალიევიც კარგად არავინ იცის. 21 წელიწადი ცოტა როდია, თავი-



რწმუნებულის
ჰამილ ბასანოვი

მრავალწლიანი ნარგავები – 68

აქედან: კერძო – 68 ჰა

კომლი – 779

მოსახლეობა – 3510 კაცი

– **ბატონო ჰაჯან, თემის მოსახლეობის პრობლემებით ნუ დაგიწევთ ჩვენს საუბარს, უბრალოდ გაგვაცანიოთ როგორი ადამიანები ცხოვრობენ თემში...**

– კარგით, შევთანხმდეთ. ჩვენი თემის მოსახლეობა ძალიან შრომისმოყვარე ხალხია. ჩვენ არა მარტო მესაქონლეობას და მეზღვრეობას მივდევთ, პარალელურად მივდევთ მებოსტნეობა-მეხილეობა-მეზღვრეობას. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები სწავლობენ არა მარტო აზერბაიჯანის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებ-

შიც იღებენ განათლებას – ჩვენ გვყავს ადამიანები, რომელთა საქმიანობით ჩვენ ვამაყობთ. დაგისახელებთ ნორმან მაქედოვს – აზერბაიჯანში, ბაქოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს, ბიზნესმენ ზაბით სეიდოვს, რომელიც აზერბაიჯანში მოღვაწეობს, მაგრამ ბევრ სასიკეთო საქმეს უკეთებს დუზაბრამის მოსახლეობას – ფინანსურად ეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს, თავისი მშობლიური უბნის მოსახლეობას ფინანსურად დაეხმარა და ბუნებრივი აირის მიღების ხაზი თითქმის ნახევარი კილომეტრის მანძილზე გაიყვანა, მაგრამ...

– **მეგვლი, რასაც ნიშნავს ეს „მაგრამ“ რამდენი ოჯახი სარგებლობს ბუნებრივი აირით?**

– სამივე სოფელი გაზიფიცირებულია, მაგრამ მხოლოდ 14 ოჯახს აქვს შეყვანილი სახლებში.

– **კომპანია „სოკარ-ჯორჯია-გაზის“ ხელმძღვანელობა გაირკვევიათ ბუნებრივი აირის სახლებამდე მიყვანას და რა ხდება ახლა?**

– სახლებამდე არა, მაგრამ ქუჩებზე გაყვანილია, იქიდან გეგირს სახლებამდე მიყვანა. არის ოჯახები, რომლებსაც 800-დან 1200 ლარამდე უჯდება ამ სიკეთის სახლში შეყვანა. ასე მაგალითად, ჩემს ოჯახს 1200 ლარი ესაჭიროება. იქნებ არის კიდევ ოჯახები, რომლებსაც მეტიც დასჭირდეთ, არ ვიცი...

– **სოფლებში ელექტროენერჯის აღრიცხვაც მოსაწესრიგებელი იყო...**

– ასე ნუ ვიტყვით. ახლა გამრიცხველიანობა დაიწყო, დაიწყო სოფელ კახლარიდან, დღეისათვის დუზაბრამაში მოსახლეობის აბონენტთა 30%-ია გამრიცხველიანებული.

– **თქვენი თემის მოსახლეობა როგორ მარაგდება სასმელი, სარწყავი წყლით, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ბევრი სოფლისთვის კვლავაც პრობლემურ საკითხად რჩება.**

– სიმართლე გითხრაო, ჩვენი სოფლები არც უნდა განიცდიდნენ სასმელი წყლის დეფიციტს. 2008 წელს დუზაბრამაში წყალანადების მაგისტრალის აღდგენაზე 3100 ლარი გაიხარჯა, 2009 წელს დუზაბრამის წყალმომარაგების გაუმჯობესებაზე – 5500 ლარი, ამავე წელს დუზაბრამის სარწყავი და სანიადრე არხების მოწყობაზე 27400 ლარი; 2010 წელს დუზაბრამაში: სასმელი წყლის ჰაბურდის გაწმენდას 4600 ლარი მოხმარდა, სასმელი წყლის ჰაბურდის მოწყობას – 37200; სასმელი წყლის რეზერვუარის შექმნას – 5200 ლარი; სასმელი წყლის ჰაბურდილთან რეზერვუარის მოწყობას – 5700 ლარი. 2011 წელს დუზაბრამაში: სასმელი წყლის ჰაბურდის აღდგენაზე უმაღლეს სასწავლებლებში, ჰაბურდის რეზერვუარის შექმნა-მოწყ-

ობას – 20557 ლარი. 2012 წელს დუზაბრამაში სასმელი წყლის ჰაბურდის გაწმენდას და რეზერვუარის მოწყობას 20314 ლარი დასჭირდა; ხოლო პალდოში



რწმუნებულის
ჰამილ ბასანოვი

სასმელი წყლის ამოსაქანი ძრავის მოწყობას – 2000 ლარი, წიწვბაიანის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის რეზერვუარის შექმნაზე 7000 ლარი გაიხარჯა. 2013 წელს წიწვბაიანის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის ჰაბურდის ძრავის შექმნაზე 1500 ლარი გაიხარჯა. ასე, რომ სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი მოწესრიგებულია ჯერ-ჯერობით, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყალი, რომლის მაგისტრალის ნაწილი იმ ირანელის საკუთრებაში არსებულ მიწებზე გადას, რომელიც ჩვენი მოსახლეობის გვერდის ავლით ქვეყნის წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისე მიჰყვებიან, არც ჰკითხეს ჩვენს მოსახლეობს ჰქონდა თუ არა ამ მიწების შესყიდვის სურვილი. ამიტომაცაა, ჩვენი მოსახლეობა საძოვრების სიმცირეს რომ უჩივის. მიწის პრობლემა ჩვენი უპირველესი პრობლემაა. მოსახლეობას 1000-1000 მ2 მიწის ფართობები დაუბრუნეს, მაგრამ ისეა არეულ-დარეული ამ ნაკვეთების აღრიცხვა, მეპატრონეზე გაცემული საკუთრების დოკუმენტები, რომ ალბათ კარგა ხანს ვერც მოწესრიგდება. ან ასეთ პატარ-პატარა ნაკვეთებში ადამიანებმა რა უნდა მოიწიონ? საგადასახადო დავალებას ასეთ სიტუაციაში ვერ შეასრულებენ და რაიონის ბიუჯეტით როგორ შეივსება? რომ ნახოთ, მიწის დიდი ნაწილი მოსახლენია – კონკრეტულ მიწის ნაკვეთს კონკრეტული პატრონი დოკუმენტების მიხედვით არ ჰყავს. არც სტიქიით დაზარა-

საბარჯოს მუნიციპალიტეტი

თემა

დუზაგრამა

დასასრული

ლებულთ აუნაზღაურდათ სადაზღვევო კომპანიებიდან მიყენებული ზარალის საფასური... საუბარია სეტყვისგან დაზიანებული სახამთროს ბაღებზე, რომლებიც მუშაობენ სადაზღვევო კომპანია „აღდაგში“ ჰქონდათ დაზღვეული...

– თემის ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე რას იტყვით?

– რა გვეთქმის? დუზაგრამა-პალდო-წიწმატიანის შიდასასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 39890 ლარი უნდა გახარჯულიყო; დუზაგრამა-პალდო-წიწმატიანის სანიაღვრე არხების გაწმენდაზე – 25 ათასი ლარი, 2012 წელს პალდოში სოფლის სასაფლაოზე მოსაცდელის მოსაწყობად 16932 ლარი დაიხარჯა, ასევე წიწმატიანის სოფლის სასაფლაოზე მოსაცდელის მოწყობაზე 20078 ლარი; 2014 წელს აქ დუზაგრამა-თულარის ცენტრალური სასოფლო გზა უნდა მოეწყო, რაზე დაცვ ღირს ვიცინებოთ დუზაგრამაში. თუმცა, სხვა საკითხებზე მოსაწესრიგებელია.

– რა მდგომარეობაშია დუზაგრამის საჯარო სკოლის შენობა, საბავშვო ბაღი,



დუზაგრამის საჯარო სკოლა

კლუბი?

– სკოლა (მენეჯერი კიაზ აბუხაროვი) ორსართულიანია, თითქმის ორ წელიწადში ერთხელ აქ რემონტდება ოთახები, კარფანჯრები მეტალოპლასტმასით შეცვალეს, სახურავიც ახალი გამოცვლილია, სკოლაში მხოლოდ იატაკებია გამოსაცვლელი.

აქ 306 მოსწავლის აღზრდა-განათლებას 22 პედაგოგი ემსახურება.

საბავშვო ბაღის შენობა არ გვაქვს. ჩვენთან არააბები აშენებდნენ მეჩეთის შენობას, მაგრამ შემდეგ სარწმუნოებრივი უთანხმოება იყო და მათ შეაჩერეს მეჩეთის მშენებლობა. მინდა გითხრათ, რომ

საკმაოდ დიდი ფართობია შენობის შიგნით, შენობა თავად 0,5 ჰა-ზე დგას, საგარეოდ კი მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს შენობა საბავშვო ბაღისთვის გამოიყენოთ. ენახოთ... რაც შეეხება სასოფლო კლუბს, აქ გვექონდა კლუბის შენობა, სადაც საერთოდ ათეული წლებია არ ჩატარებულა არც ერთი ღონისძიება და ამიტომ ავერ 12 წელიწადია კლუბი აქაურებმა მხრეთად გადააკეთეს.

ჩვენ არ გვაქვს საექიმო ამბულატორია. აქ კომუნისტების დროს გვექონდა ხის მასალისგან აგებული საექიმო ამბულატორია, შემდეგ კი, მოგახსენებთ, ცენტრალური გახადეს სამედიცინო მომსახურება და დღეს ჩვენი თემის მოსახლეობის ჯანმრთელობა იორმულანდლოს სამედიცინო ცენტრის ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშაა.

თემის არც ერთ სოფელს არ აქვს სპორტული მოედანი.

თემის საკრებულოს შენობა ძველი შენობის ერთ ოთახშია შეწყობილი, სადაც მოსახლეობის მისაღებად არავითარი პირობა არ არის. ამ ძველ შენობაშივეა განთავსებული დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი.

– დიას, ქართული ენის ცოდნა აუცილებელია ყველა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელისა თუ სხვა ერისა – ასე დიწყო ჩვენი საუბარი **დუზაგრამის ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელმა ხაიალ ბასანოვმა**, – ისე წარმოუდგენელია ადამიანებთან ურთიერთობა, იმ საკითხების მოგვარება, რომელიც სოფლის, თემის ფარგლებს უნდა გასცდეს.

თავად ხაიალი შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას და გასაკვირი არ არის, რომ სუფთა ხალიტერატურო ქართული ენით საუბრობს – ჯერ კატრეთის სკოლაში უსწავლია, შემდეგ კი ლაგოდეხში დაუბრუნებია ქართული სკოლა და ახლა დაკარგულ შანსსა და დროზე ნანობს, – კლასში სამი აზერბაიჯანელი ვსწავლობდით, დასვენებაზე ჩვენს მშობლიურ აზერბაიჯანულ ენაზე ვსაუბრობდით. უკეთესი იქნებოდა მაშინაც ქართველებთან გვესაუბრაო. შემდეგ საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი დაამთავრა. დღეს დუზაგრამის საჯარო სკოლის დაწესებულების პედაგოგიკაა და ამით ბავშვებს უფრო უადვილებს ქართული ენის შესწავლის სირთულეებს. რაც შეეხება ცენტრში მის მუშაობას, ხაიალი ცენტრის გახსნის დღიდან, 2001 წლიდან მუშაობს აქ. მაშინ ცენტრის დირექტორი ასანალი მირზაევი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ცენტრს ასანალის ძმა – ალი მირზაევი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც კარგად იცის ქართული, პროფესიით კი იურისტი. მათთან ერთად ცენტრში ქართულ ენასა და კულტურას

ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად

ქართული ენის ცოდნა აუცილებელია



დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი

მონდომებით ასწავლიან ტოფიკ ჯაფაროვი და ზამინ მამედოვი, რომელთაც ქართული სასწავლებლები აქვთ დამთავრებული.

– თანდათანობით იზრდება ინტერესი ქართული ენის დაუფლების, შესწავლის ჩვენთან. ინტერესაციის პროცესი კარგა ხანია დაწყებულია, ეს აუცილებელიცაა, რადგან ოცდამეერთე საუკუნე ბევრ სიახლეს ითხოვს და ის, რომ ელემენტარულად იცოდეს საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა ქართული, ეს ყოველდღიურობამ მოიტანა. უბრალოდ, ავიღოთ სამხედრო-სავაჭრული სამსახურში გაწვევა, იქ სამსახურის პერიოდი. აზერბაიჯანელი ეროვნების წევრებმა თუ გვადიდებდნენ უნდა იცოდეს ქართული არა მარტო საკომუნიკაციოდ, ისეთ დონეზეც, რომ მას არ გაუჭირდეს არა მარტო სამხედრო-სავაჭრული სამსახურის მოხდა, გაუადვილდეს კიდევ თითოეულ ქართველთან ურთიერთობა, ქართულ გარემოში არ

ჰქონდეს ენის ბარიერი. ამიტომაცაა, ჩვენთან, ცენტრში სამი დონის საფეხურებია გახსნილი. აქ მეცადინეობა ორ ცვლაშია, შეიძლება სადამოს ცვლაშიც მოვიდნენ ბავშვები, მაგრამ ამ ჯგუფში უფრო ასაკიანი ადამიანები ერთიანდებიან. მათი ნაკადი ზამთარში უფრო შეიმჩნევა – ამ დროს ნაკლებია სახლში, სოფელს გარეთ სამუშაო... მინდა გითხრათ ერთი ფაქტი, ერთ-ერთი სოფლის რწმუნებული გასულ წლებში ჩვენთან სწავლობდა ქართული ენის უკეთ დაუფლებისათვის. ჩვენთან სწავლა უფასოა, სწავლის დაწყების წინ ჩვენ ვურიგებთ რეველებს, კალმებს, იმ წიგნებს, რომლებიც ჩვენი ცენტრის, ქართული ენის დამწვევი შემსწავლელისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერაა სპეციალურად გამოცემული. ჩვენი ცენტრის სწავლის დონეზე მიუთითებს ის, რომ ცენტრის რამდენიმე კურსდამთავრებულმა სწავლა საგარეჯოს კოლეჯებში გააგრძელეს, ერთმა კი 2002 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში წარმატებით ჩააბარა. ასევე, ჩვენთან შესწავლეს ქართული ენა, თბილისის უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს და დღეს ჩვენი თემის მოსახლეობას ემსახურებიან სტომატოლოგები: ვასიფ ალიევი, ელნორ ნოვრუზოვი, ქარიმ იბრაგიმოვი.

ჩვენდა საამაყო მინდა გითხრათ, თალეკ ფაშაევა (ინგლისური სექტორი), გალობათ მამედოვი (ქართულ ფილოლოგიურზე), აჟდარ რასულოვი და ასიმ მამედოვა (ორივე სამედიცინო ფაკულტეტზე) თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო სწავლების სტუდენტები არიან. ასევე, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ჩვენი ცენტრის ყოფილი მოსწავლეები.

ინტერესი ასწავლონ თავიანთ თანასოფლებლებს ქართული ენა, ცენტრის მასწავლებლებსაც ერთობ დილია, მაგრამ ხელისშეწყობაც რომ საჭიროა, ამას იმ პირობების ნახვით მიხვდებით, რაშიც მათ უხდებათ მუშაობა. შენობა ძველი, ერთსართულიანია, სადაც ცენტრს ერთი ოთახი უკავია, მეორე ოთახში კი დუზაგრამის საკრებულოა განთავსებული. შენობა ძველი, ამორტიზებულია, ოთახში მხოლოდ 7 მერხი დგას 14 სკამით, რომელიც მოსწავლეებს არ ჰყოფნით. აქ დღეში 42 მოსწავლე მოდის, სხვადასხვა ცვლაში მაგრამ რახან აქ სწავლა ნებაყოფლობითია, ხშირად გაკვეთილის მოსასმენად სხვებიც შემოდიან, ან ინტერესებთ რაღაცის შესწავლა, გარკვევა. პირობები კი... მართლაც, რომ არასახარბიელოა. ცენტრის სასწავლო პროგრამასთან ერთად ახლა მასწავლებლები და მოსწავლეები საახალწლო ღონისძიებისათვის – ექსკურსიისათვის ემზადებიან, რათა უკეთ გაიცნონ საქართველოს კულტურა, მისი ისტორია. პერიოდულად მასწავლებლები ბავშვების მიერ ათვისებული მასალას კარნახით, ან ტესტების საშუალებით ამოწმებენ, ატარებენ კონკურსებს, ვინ უკეთ შეისწავლა ქართული მასალა და კონკურსში გამარჯვებულს თავიანთი სახსრებით შექმნილი სამასსოფრო საჩუქრებით აჯილდოებენ.

დუზაგრამის ქართული ენისა და ქართული კულტურის შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლებს ზამთარში ბევრი სამუშაო და ბევრი მოსწავლე ჰყავთ, რაშიც ხელს თავიანთი ენთუზიაზმი (ისე წარმოუდგენელია ასეთი დაბალი ხელფასის მქონე) და შემის ღუმელით მოთბუნებული ძველი ოთახი უწყობთ.



ხაიალ გასანოვი

უღაბნოვი გასოსსლავული სვანური ფოლკლორი

კულტურის

კარა



ვიქრია მარგიანი

ჯერ დედა და შვილები, შემდეგ მეზობლები, ნათესავები და ...

2009 წელს უდაბნოში სვან ქალთა ანსამბლი „კასლეთილა“ შეიქმნა. „კასლეთილა“ ის ლამაზი ადგილია სვანი ქალისათვის, რომლის დარიც მსოფლიოში არ მოიპოვება. სწორედ ამ ადგილის სილამაზეს უმღერის სვანი ქალი და ამბობს, რომ მისნაირი ადგილი არც არის და არც არაფერზე გაცვლის მას, - მეუბნება „კასლეთილას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი.

ფიქრია 4 წლის იყო, მშობლებმა 1987 წელს თავის უფროს და-ძმასთან ერთად სოფელ მუღახიდან უდაბნოში რომ ჩამოიყვანეს. მეწვერმა მათი სახლი მეზობლების სახლებთან ერთად დაანგრია. ოჯახის უფროსს არ უნდოდა წამოსვლა, არ ეთმობოდა სვანეთის ამაყი მთები, თავისი ადგილმამული, მაგრამ იძულებული შეიქმნა... მხოლოდ 1 წელი იცხოვრა უდაბნოს მიწაზე უმანგი მარგიანმა, ზუსტად 1 წლის თავზე იქვე, სოფელთან, ავტოსაგზაო შემთხვევისას დასრულდა მისი სიცოცხლე... მაშინ უფროსი შვილი 16 წლის იყო, უმცროსი - ფიქრია 5 წლის. დედამ ითავა მათი გაზრდა და უფროსი შვილებიც და უმცროსებიც ფეხზე დააყენა. ასე დაფუძნდნენ უდაბნოში ხათუნა, ეკა, რაჯი, გიორგი, ფიქრია მარგიანები. ფიქრიამ თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში ჩააბარა, მაგრამ მალევე, 2003 წელს გათხოვდა და ვეღარ დაასრულა სასწავლებელი. თუმცა, თბილისში სიონის საკათედრო ტაძრის სამრევლო სკოლაში კარგად დაეუფლა საგალობლებს. სწორედ ფიქრიამ ითავა „კასლეთილას“ შექმნა და ამ საქმეში ერთგულად ამოუდგნენ მხარში დედა, და - ხათუნა, მეზობლები, ნათესავები, თანასოფლები - ცუცა ნავერიანი, დოდო ფარჯიანი, ირმა შუკვანი, თამარ გვიდანი, ნაზი ფარჯიანი, თამარ თამლიანი, ნანა გვიდანი, მათგან ყველაზე „ასაკიანი“ 67 წლისაა, ყველაზე უმცროსი - ფიქრია. ანსამბლის რეპერტუარში 20 სვანური სიმღერაა დამუშავებული.

„არტგენის“ ფესტივალებზე ჩვენს ანსამბლს ძირითადად ძველი სვანური სიმღერები მიგვაქვს სცენაზე გამოსატანად, მაგრამ თუ, ფოლკლორული სადამოცაა, მაშინ შერეულ სიმღერებსაც „ვეპაექრებით“, - მეუბნება საუბარში ფიქრია, - ჩვენ გვაქვს საფერხული სიმღერებიც, სადაც ჩვენი ანსამბლის წევრები - ნაზი ფარჯიანი, ხათუნა მარგიანი, ნანა გვიდანი, თამარ თამლიანი ცეკვავენ. ასეთებია „შინაორთაში“, რომლის შინაარსიც ქართულად რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს - ძალა ერთობაშია, „ვარგილი“ - აქ მახსარა, მსახიობური ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს აცილებენ, გვაქვს ასევე „თამარ დედოფალი“, „კანსავ ყიფიანი“, „მურზა ი ბექსილი“, სადაც მე-



ანსამბლი „კასლეთილა“

ბროძელ ძმებზე საფერხული სიმღერები. თავად „კასლეთილა“ საფერხული სიმღერაა, ერთ-ერთი უძველესი. რაც შეეხება სიმღერებს „კასლეთილა“, „ბილ ბეთქილი“ - აქ სიმღერა ფერხულის გარეშე გვაქვს დამუშავებული და ვფიქრობთ ცეკვის დამუშავებასაც.

პირველად ანსამბლმა საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენა „არტგენი-2011“-ზე შეძლო. მაშინ 2 სიმღერა წარადგინეს - „კასლეთილა“ და „თამარ დედოფალი“, თუმცა იყვნენ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშიც, მირზაანშიც, მაგრამ ფართო აუდიტორიამ ისინი მაინც 2012 წლის ზაფხულში პოლონეთში გაიცინო, მოიხილნენ, გაოცდნენ და შეიყვარეს საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი საფერხული სიმღერებით სვანური კულტურის უძველეს საფერხურებს გააცნო პოლონელები. მათ იქ, პოლონეთში ქალთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალზე I ადგილი დაიკავეს.

ფიქრია 2013 წლამდე უხელფასოდ მუშაობდა. მხოლოდ მიმდინარე წელს მოხერხდა უდაბნოში საკლუბო მუშაობის სპეციალისტის შტატის აღდგენა. ფიქრიას გენეტიკურად გადმოეცა სვანური სიმღერების, საერთოდ, ფოლკლორისადმი დიდი სიყვარული და მოფრთხილების ნიჭი. მისი დიდი ბაბუა ივანე მარგიანი პირველი ფოლკლორისტი სვანი იყო, ვინც სახლგარეშე გაიტანა ქართული და სვანური ფოლკლორი. ის სასულიერო პირი - მღვდელი იყო და ყველაზე კარგად მან იცოდა ძირძველი სიმღერების დანიშნულება და ფასი, თუმცა, დედის მხრიდანაც გამოჰყვა ნიჭი. დედა ღია პირველი ანსამბლის სოლისტი. სწორედ მან შეაყვარა შვილებს სვანური სიმღერები და ასწავლა მისი მოვლა-პატრონობა. ქნი ღია სვანეთის უძველესი, უღამაზესი სოფლიდან - უშუღლიდანაა, წმინდა კვირიკეს ეკლესიის მრევლი და მგალობელი... აქ, უდაბნოს მიწაზე უფრო მეტად იგრძნო თავისი მოვალეობა ყოველივე

სვანურისადმი... ერთგულად ამოუღებია შვილებს - ფიქრიას და ხათუნას „კასლეთილას“ შესაქმნელად... ფიქრია კი მხოლოდ „კასლეთილათი“ არ ფიქრობს თავისი მამულიშვილური ვალის მოხდას სვანეთისა და უდაბნოს წინაშე და 2013 წელს შექმნა „პატარა გარეჯელების“ ანსამბლი. ისინი უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან: ლია და თამარ გულბანები, თამარ და სოფო იოსელიანები, ნინო გოგოჭური, გიორგი არღვიანი, ნატა კორძია, ლერი ცინდელიანი, თაკო ჭელიძე, გვანცა ქაღანი - მომღერლები და მოცეკვავეები. ისინი თავიანთი სოფლის მცხოვრებლების წინაშე არიან წარდგენილი და კახეთში ფესტივალზეც. მათ თელავში გახსნეს „არტგენი-2013“-ის ფესტივალი და შემდეგ „არტგენის“ დასკვნით კონცერტზე თბილისშიც მიიღეს მონაწილეობა. ახლახანს თელავიდან მიიღეს სოლო კონცერტის ჩასატარებლად მიწვევა, ან შეიძლება ჯავახეთში წავიდნენ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უდაბნოს შვილებთან“ ერთად.

უდაბნოს ქორეოგრაფიული ანსამბლი „უდაბნოს შვილები“ (ქორეოგრაფები შორენა გვარამაძე და თამარ მარგიანი) და ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის ქორეოგრაფი უნათია საბაშვილია, იმ უდაბნოელ მოსწავლე-ახალგაზრდებს აერთიანებს, რომლებიც ქართული, სვანური, აჭარული ფოლკლორული ცეკვების შესწავლით არიან დაინტერესებული. მათ წარმატებით მიიღეს მონაწილეობა დავალოს მისილ პედაგოგებთან ჟურნალ „ჯღუთაში“ ვილთან, იოსებ უსტარაშვილთან, ანა გვარდიანთან შეხვედრისას, ასევე, მისში ახალგაზრდულ ღონისძიებასა და ოქტომბერში სოფელში გამართულ ფესტივალში.

სვანური მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში უკვე საახალწლო საშხადისია... აქ ბავშვების დიდი სამყაროა... სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ყოველდღიურად იყრიან თავს... სხვადასხვა კლუბებში ინტერესების მიხედვით არიან გაერთიანებული და საინტერესო საქმიანობით იღამაზებენ ბავშვურ სამყაროს... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობს ინტელექტუალები - ხელმძღვანელი ბადრი დრეიძე, ხატვის კლუბი - ჯემალ მახარიაშვილი, გოგონათა კლუბი - ირინა თულაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბი - ლია ქედივიძე, უცხო ენის - ელისო შაქარაშვილი და თამუნა მათიაშვილი, მხატვრული კითხვის - ოლღა მესხაშვილი, მასობრივი ღონისძიებებისა და საბავშვო თეატრის კლუბი - ირინა დრეიძე. თითოეული პედაგოგი ძალიან საინტერესოდ მუშაობს ჯგუფებში გაწვევრიანებულ მოსწავლეებთან. მრავალფეროვანია ჩასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაც... თითოეულ ღონისძიებას ყველა ერთად ამზადებს, ყველას თავისი ფუნქცია აქვს ამ დროს... ჩვენი კავშირების არეალი საკმაოდ დიდია... ჩვენი ხატვის კლუბის ბავშვები და რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომლებიც ხატვით არიან დაინტერესებული, ხშირად აწყობენ თემატურ გამოფენებს და რესპუბლიკის თუ საერთაშორისო მასშტაბით მოწოდებულ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას: ბელორუსიაში - მინსკში გამართულ გამოფენაზე „საკუთარ მიწაზე“ უკვე მეოთხედ გაიზარდა 70 მოსწავლის 76 ნამუშევარი, უნდა აღინიშნოს, რომ მინსკში 2013 წლის გამოფენის დიპლომანტი გახდა თხზილურის საჯარო სკოლის

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

სადაც შესაძლებლობათა ჩაალიზება ხდება



მოსწავლე თამარ ჩერქეზიშვილი, ნამუშევრით - „უკვდავი კულტურა“. საამაყო ისიც, რომ საქართველოდან მხოლოდ თამარი გახდა დიპლომანტი. ჩვენი ბავშვების ნამუშევრები იგზავნება ჩეხეთში - ლიდიცეში მსოფლიოს ბავშვთა ნამუშევრების ყოველწლიურ გამოფენაზე, ბულგარეთში - ბანსკოს გამოფენა-კონკურსზე „წყალი და გარემო“, პოლონეთში და სხვა... ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეასთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს ჩვენს ხატვის კლუბს. სულ ახლახანს ჩვენმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გიორგობასთან დაკავშირებით მოწოდებულ გამოფენაში, აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ ყოველწლიურ სააღდგომო გამოფენაში, მიღებული აქვთ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ინტელექტუალები - ხელმძღვანელი ბადრი დრეიძე, ყოველთვის ერთად ატარებს ინტელექტუალურ უფროსკლასულათა თვის. ყოველი ახალი თამაშის თემას მონაწილენი თვითონ ირჩევენ. სისტემატურად 9-10 გუნდი თამაშობს. ყოველი **დასასრული მ-6 გემრღზე**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

სადაც შესაძლებლობათა რეალიზება ხდება

დასასრული

წლის 26 მაისს შემაჯავებელი თამაში ტარდება, სადაც ხდება მონაწილეობის შედეგების შეჯამება და დაჯილდოება. 2013 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა პირველი თამაში, 27 დეკემბერს ჩატარდება შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეხვედრა-თამაში.

გოგონათა კლუბი - ხელმძღვანელი ირინა თულაშვილი - აერთიანებს ჭრა-კერვა, ქსოვა-ქარვით და კულინარიით დაინტერესებულ გოგონებს. ისინი ამჟამად საახალწლო სპექტაკლისათვის კოსტიუმებს კერავენ, ამზადებენ დეკორაციისათვის საჭირო ელემენტებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბი - ხელმძღვანელი ლია ქელიძე - შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას, ტრადიციებსა და კულტურას, ამ კუთხით ატარებს ინტელექტუალურ თამაშებს, საუბრებს, დისკუსიებს, ტრენინგებს... კლუბის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

მხატვრული კითხვის კლუბი - ხელმძღვანელი ოლღა მეხაშიაშვილი - მუშაობს მოსწავლეებთან მხატვრული კითხვის კულტურაზე, მეთოდებზე, გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ატარებენ პოეზიის სადამოებ, მონაწილეობენ საერთო ღონისძიებებში.



აშშ-ს ელჩის უმახსინძლეს

ბენ პოეზიის სადამოებ, მონაწილეობენ საერთო ღონისძიებებში.

მასობრივი ღონისძიებებისა და პროექტების, საბავშვო თეატრის განხორციელება - ხელმძღვანელი ირინა დრეიფი, მუშაობს თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვებთან, წერენ სცენარებს თითოეული ღონისძიებისათვის, აწყობენ ფილმების განხილვას, ამზადებენ ყველა საერთო ღონისძიებას, მუშაობენ სხვადასხვა სახის საკონცერტო პროგრამებზე. მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საბავშვო თეატრალურ ფესტივალებში. სულ ახლახანს მხატვრული კითხვის კლუბის ბავშვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან ერთად დაგეგმილ და განხორციელებულ მუსიკალურ ლიტერატურულ კომპოზიციაში „ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში არ გვაქვს ტოლი“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას მიეძღვნა. მათ მიინახულეს მთაწმინდის პანთეონში გალაკტიონის საფლავი, ყველაზე მეტად შეამკეს იგი. შემდეგ კი სასახლის სხვადასხვა წრეების მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეს გალაკტიონის ცნობილი ლექსები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

შემოქმედებით კლუბებთან ერთად მუშაობს



ისინი ქართულს სწავლობენ

ალტერნატიული ბავშვთა განვითარების და სახელწოდების შეცვლისათვის ემზადება



თეა გურგენიძე

ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამ საქმეში დიდი დახმარება გაეწეა ლამბალოს რწმუნებულმა მუხარბე მამედოვმა, რომელიც ყოველთვის დროულ დახმარებას გვიწვდის ამა თუ იმ პრობლემების მოგვარების საქმეში. მან საკუთარი ხარჯებით შეიძინა საბავშვო ბაღისათვის შესარემონტებელი მასალა და საკუთარი ხარჯებითვე შეარემონტა.

უნდა აღინიშნოს მოსახლეობის მხრიდან გამომდინარე დაინტერესება და თანადგომა. ისინი მართლაც რომ გაგებით მოეკიდნენ ამ სიკეთეს და თავიანთი შეიღების აღზრდის საქმეში მოგვადგეს. თუ თავდაპირველად ბაღში 10-12 ბავშვი იყო, ახლა მათი რიცხვი 19-ია. სულ პატარა მათ შორის 3.5 წლის სურია სარიევია, რომელიც ახაკის მიუხედავად არ უღებს ტოლს თავისზე დიდებს ქართული ენის შესწავლაში. მან ისე, როგორც სხვა აღსაზრდელებმა, კარგად იცის ბევრი ქართული ლექსი, ერკვევა ფერებში, იცის, თუ რა ჰქვია ამა თუ იმ ხილს, ბოსტნეულს. ასევე შეუძლია თვლა და ა.შ. თავის ქებაში არ

მინდა ჩამეთვალოს, მაგრამ ჩვენთან მონიტორინგზე მოსული პოლინელი თუ ქართველი სტუმრები მუდამ კმაყოფილი არიან ბაღის მუშაობის შედეგებით. ერთ-ერთ ასეთ მონიტორინგზე ამ თვის დასაწყისში ბაღში გვეწვია პოლინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი მაგდალინა სოდოროვიჩი, რომელსაც თან ახლდა საქართველოს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროექტების კოორდინატორი ალექს კალანდაძე. მათ შეამოწმეს ბაღის ექსპლუატაციის მუშაობის შედეგები, და ბოლოს, აღსაზრდელთა ქართული ენის ცოდნის დონეზე ჩვენმა აღსაზრდელებმა სტუმრებს ქართულად წაუკითხეს ნაწარმოები ლექსები, იმდერეს, იცეკვეს, დაასახელეს ხილისა და ბოსტნეულის სახელები, რომლებსაც ახერხებდა ენაზეც თარგმნიდნენ. იმდემ მაქვს, რომ ჩვენი სტუმრების ეს შთაბეჭდილებები სათანადო ასახვას პოუვებს მათი შეფასებების ანგარიშში.

ლამბალოს ბაღის საქმიანობის შესახებ ჩვენმა გაზეთმა წინა ნომრებში უკვე მიაწოდა ინფორმაცია ჩვენს საზოგადოებას. შეგახსენებთ, რომ იგი შეიქმნა პოლინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის პროექტის „თანამშრომლობა განვითარების ფარგლებში“, რომლის ძირითადი მიზანია აქტიურ პარტნერს ხელი შეუწყოს სახელმწიფო - ქართული ენის შესწავლის საქმეში... პროექტს ახორციელებს პოლინური ორგანიზაცია „ედუკატორი“, რომლის პარტნიორია საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგია“. პროექტი ექსპლუატაციის მიმდინარე წლის 20 ივნისს დაიწყო და ამ თვის 11 ნახევარში უნდა დასრულდეს.

მართალია, ჩვენი ბავშვები პატარა, დაქირავებულ ოთახშია განთავსებული, მაგრამ პოლინური მხარე ყველანაირი პირობა შეგვიქმნა ნორმალური მუშაობისათვის, - გვეუბნება ბაღის მასწავლებელი თეა გურგენიძე, - თავის დროზე შეგვიძინეს სათანადო ინვენტარი, მოგვამარაგეს სათანადო მეთოდური და თვალსაჩინოების მასალებით, სათანადოებით. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმით, რაც საჭიროა ასეთი ბავშვის



ინგლისური ენის კლუბი, რომელიც გარდა ენის შესწავლისა, მონაწილეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ღონისძიებებში. ანსორციელებს სხვადასხვა პროექტებს.

კლუბების მუშაობას კოორდინირებს უწყვეტ დირექტორის მოადგილე ნარგიზ ნადირაშვილი, რომელიც კლუბების ხელმძღვანელებთან და მეთოდისტ თამარ ქერხულიანთან ერთად განიხილავს ყველა დაგეგმილ ღონისძიებას, სცენარს, ესწრება მეცადინეობებს და რეპეტიციებს... გვემეგობრება სხვადასხვა სახის აქციებს, ღონისძიებებს და ტრენინგებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ატარებს ტრენინგებს მოსწავლეთა თვითმმართველობებთან, დებატების ხელშეწყობით დაინტერესებულ მოსწავლეებთან და ლიდერ გოგონებთან, რომელიც 2013 წლის მარტში შეიქმნა ჩვენი ამერიკელი მოხალისის ემილი ნიუს მიერ და დღესაც აგრძელებს მუშაობას. ლიდერი გოგონები უფროსებთან და ამჯერად საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლის მოხალისე ანიკა ვალკისთან ერთად ხელმძღვანელობენ აქციებს, ტრენინგებს, სხვადასხვა სახის შეხვედრებს.

ჩვენი მუშაობა დაწვრილებით ასახულია სოციალურ ქსელში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გვერდზე, სადაც ვრცელი ფოტომასალაა წარმოდგენილი... ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ რაიონულ საგანობრივ კონფერენციას, რომელზედაც რეცენზირებული თემები იგზავნება ეროვნულ სასახლეში რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ვამაყობთ ჩვენი წარმატებით და წლებიდან წლები აქტიური საზოგადოებრივი ბანაკით, რომლის პროექტიც მოხალისეობის ერთად განხორციელება. ბანაკი ოთხი მიმართულებით ერთი თვის მანძილზე მუშაობდა: ეს გახლდათ ეკო-ბანაკი, სპორტული, ინგლისური და არტ-ბანაკი; რომელშიც 100-ზე მეტმა ბავშვმა მოახდინა საკუთარი თავის რეალიზება და შინაარსიანად დასვენება. გასული სასწავლო წლის უდიდესი მოვლენა იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ამერიკის ელჩის ბატონი რიჩარდ ნორლანდის და მისი მეუღლის ქალბატონ მერი პარტნეტის სტუმრობა ლიდერ გოგონებთან და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებით წარმართული ეროვნული კულტურის თემაზე. ბანაკი ოთხი მიმართულებით ერთი თვის მანძილზე მუშაობდა: ეს გახლდათ ეკო-ბანაკი, სპორტული, ინგლისური და არტ-ბანაკი; რომელშიც 100-ზე მეტმა ბავშვმა მოახდინა საკუთარი თავის რეალიზება და შინაარსიანად დასვენება. გასული სასწავლო წლის უდიდესი მოვლენა იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ამერიკის ელჩის ბატონი რიჩარდ ნორლანდის და მისი მეუღლის ქალბატონ მერი პარტნეტის სტუმრობა ლიდერ გოგონებთან და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებით წარმართული ეროვნული კულტურის თემაზე.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით დამეგვი 2014 წელი მივულოცოთ ჩვენს აღსაზრდელებს, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს, დირექციებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენს მომავალთან მუშაობს; სრულიად საქართველოს და ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთ! ვუსურვოთ მათ სიხარული, სიუხვე, ბარაქა და წარმატებები გაერთიანებულ, ევროპულ საქართველოში!

თამარ ჯაბალოვი, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

რა იქნება მომავალი?!



მუხარბე მამედოვი

- თუა მასწავლებელი, რა ბედი ელის ალტერნატიულ ბაღს და მის აღსაზრდელებს მომავალში, ეს პროექტი ხომ ექსპლუატაცია და მისი მოქმედების ვადა ამ თვეში იწყდება?

- კი, პროექტი დეკემბერში მთავრდება და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა, რათა იანვრიდან ლამბალოს ალტერნატიული ბაღები მუნიციპალურ დაფინანსებაზე გადავიდნენ. ენაზე, რამდენად და როგორ მოგვარდება ეს საქმე, ახლა კი ჩვენი ბაღის აღსაზრდელებს გამოსაშვები და საახალწლო ღონისძიებებისათვის ვამზადებ, ვასწავლი საახალწლო ლექსებს, სიმღერებს. მინდა, რომ მოვიწვიოთ თოვლის პაპი. წინასწარ ვერ ვეტყვი, როგორ გამოვაყვება ეს ღონისძიება, მაგრამ ვეცდები, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, ეს დღეც საინტერესო და დასამახსოვრებელი იყოს აქ მყოფი ყველა პატარისათვის.

გივი ლავანოვი

გამოიწერეთ ბავშვთა „პარეჯის მანძი“ 1 თვიით - 1 ლარი 6 თვიით - 6 ლარი 12 თვიით - 12 ლარი

შეხვედრა მოქალაქეთა

„საქართველოსთვის იღვაწო, უფლისა ბანაჩენია...“



გიორგიწმინდის დღესმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი (პავლოვი) არაერთხელ ყოფილა საგარეჯოს IV, გიორგიწმინდის საჯარო და საერო სკოლის „თამარ გარეჯელი“ მოსწავლეებთან, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებთან შეხვედრაზე. უფრო მეტი გიორგი მოსწავლეებს, მშობლებს, აღსაზრდელებს და მათ პედაგოგებს – გულთბილი, მზიანი სახით, მართალი სიტყვითა და ქრისტესობით სიყვარულით მას არაერთი მოზარდის გული გაუთბია, დაუინტერესებია უფლის მიერ განვლილი გზით, უზიარებია სახარების სიბრძნისათვის, სულით ხორცამდე შეუყვარებია ქართველობა, ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის მადლი, საქართველოს მიხია შეუცნობებია მსმენელისათვის... ერთი წუთით არ აქვს მოცლა და როცა საგარეჯოს I საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეები და მათი დამრიგებელი ნანა დიდმელაშვილი ეკლესიაში წირვას დაესწრნენ და გაიცნეს, ტკბილად, აღურსიანად მოუბარი – მრევლმრავალი მამა გიორგი ნახეს, ცოტა ეჭვი შეეპარათ, იქნებ მათ-

თან ვერც მოეხერხებინა უდროობის გამო მისვლა, მაგრამ... 2 დეკემბერს მამა გიორგი უამრავი ტკბილეულით, სანთლებით, ხატებით, წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ჟურნალებით ესტუმრა მათ სკოლაში. შეხვედრა მართლაც ამაღელვებელი და ძალიან შინაურული იყო, სხვანაირად ვერც იტყობოდა ამ შეხვედრაზე. პედაგოგ ნანა დიდმელაშვილი მართლაც ბევრი მასალა შეგვრეგებინა მამა გიორგის ცხოვრებაზე ამ შეხვედრისათვის: მამა გიორგისათვის მრევლისაგან მიღებული ლექსები, სახარებიდან ამონარიდები, წმიდა მამათა გამონათქვამები, მამა გიორგის ურთიერთობის კონკრეტული მაგალითები – თითოეული მართლმადიდებლისადმი, მრევლისადმი. ბავშვებმა მამა გიორგის ცხოვრების წესით და მოღვაწეობით დამსწრე საზოგადოებას ფართოდ გააცნეს მოძღვრის დანიშნულება: „ღმერთს რომ მივინდო, საჭიროა ძალაში იყო ღმერთთან და არა იერარქიით... ეს დღეს მამა გიორგის (პავლოვი) უხვად აქვს მომადლებული უფლისაგან, ამიტომ არ უჭირს სამშობლოსა და ეკლესიის, მრევლის წინაშე

ტეშმარტების მსახურებაში ყოფნა“ – ასე გააცნო მამა გიორგი ნიკა პეტრიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს. მამა გიორგის მოღვაწეობაზე ისაუბრეს გიორგი კურდღელაშვილმა, ანი დარბაისელმა, გიორგი მელაშვილმა, ანი სუხიშვილმა, გიორგი ქაიხოსროშვილმა, ლაშა ესაიაშვილმა, ანი ყაჯრიშვილმა, ნიკოლოზ ნანუაშვილმა, ნინო სონიშვილმა, ნინო პაპუაშვილმა, ნათიამ, ნანუკამ, შალვამ, ნატუკამ, დათუნამ, თეკლამ, თორნიკემ, ონისემ, ვახომ, სოფომ, სალომემ, ეკამ და ყველამ. ყველამ მოსაფრებელი უთხრეს მოძღვარს. მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს მამა გიორგის ყოველდღიურ საქმიანობაზე, იმ მუშაობასა და დედაზე, რომელსაც იგი უშურველად, თავდაუზოგავად გასცემს მოყვასის დასახმარებლად, გაჭირვებულის ხელის გასამართლად, ცხოვრებისეული სირთულეებისაგან თავდასაბრუნებლად, გამიანისთვის გამოსავლის პოვნისა და სიყვარულის, ამ უდიდესი ფენომენის გასაღებებლად და გასაღებებლად აღამიანებში. არც არავის გააკვირვებია, როცა ბავშვებმა მრევლის მიერ სიყვარულით მიღებული ლექსები წაუკითხეს მოძღვარს, სადაც დამსახურებულად ეფერებოდა საკუთარ მოძღვარს და საქართველოსთვის მოღვაწეობას, საქართველოს სამსახურში ყოფნას, სიმართლის მისეულად გაბედულად თქმას „უფლის განაჩენად“ უთვლიან. ბოლოს სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლექსი „ყველაფერი კარგად იქნება“ წაუკითხეს და საყვარელ მოძღვარს კვლავც ნახეს. შეხვედრის დიდი სურვილით დაემშვიდობნენ...

შეხვედრა კი სამომავლოდ კვლავაც იქნება, გარდა წირვა-ლოცვებზე დასწრებისა, ისინი კვლავ შეხვდებიან მამა გიორგის – მათი პედაგოგ ნანა დიდმელაშვილი თავისი მოსწავლეების რელიგიური აღზრდისა და მართლმადიდებლობის დრმად და საფუძვლიანად გასაცნობად ლოცვებთან, წმინდათა ცხოვრების ეპიზოდების შესწავლასთან ერთად მოძღვართან ბავშვების შეხვედრას გეგმავენ, რადგან მისი აზრით, ასე უფრო გაადვილდება მოზარდის მართლმადიდებლად გაზრდა და ჩამოყალიბება. გაკეთებულზე მხოლოდ ლოცვების წაკითხვა და პედაგოგის საუბარი არ ნიშნავს ქრისტიანობაზე თუნდაც წარმოდგენის შექმნას, – მოთხრა საუბარში ქნმა ნანამ.

ბანცხადება
გთავაზობთ ვენახის მავთულს, სა-
შუაღედო, და თავის რკინა-ბეტონის
და ლითონის ახალ საყრდენებს.
ქ.თელავი. ტელ. 599 14 28 16.

სსოვნა ბურამ დავითელაშვილი

ხალხს უთქვამს – დრო ყველაფრის მკურნალიაო. გაანჩია, შვილო, რისი და ვისი მკურნალია დრო. მაშ, მე რატომღა მიმძაფრდება შენი ნახვის სურვილი, შენი ხმის გაგონება, რატომ, რა ძალა მამბრუნებს იმ წლებისკენ და მოგონებებისკენ, რომლებიც შენთან მაკავშირებდა, შენი ცხოვრებით ვცხოვრობდი და შენით ვხარობდი? მაშ რატომღა მწარე ყოველი 12 დეკემბერი ახლა ჩემთვის და რატომ გავერბივარ თიბათვეს, რომელსაც ფერად-ფერადი, ლამაზი ყვავილების სურნელი მოაქვს. 12 დეკემბერს შენ 31 წლის შესრულდი. მალე შენი ერთადერთი და ჩემი იმედი, შენი თვალმახარა გოგო – ანი 12 წლის გახდება. რა პატარა ასაკში გახდი მამა და რა პატარა ასაკშივე დაგვშორდი, შვილო.



დაგვშორდი? არა, დედიკო, შენ ისევ ჩემთან ხარ, ჩემში ხშიანობ შენი გიჟმაჟი ცხოვრებით, შენი ლაღი ბუნებით და იმ დიდი სიყვარულითა და სიბოლოთი, რომელიც შენ გქონდა შენი თანაქალაქელებისთვის, მეგობრებისთვის. შენთვის ხომ ყველა მოყვასი იყო, შენი ახლოებული და შენი მეგობარი. როგორ მწარედ დაგიტირა შენმა სამომამ, შენმა მეგობრებმა, თანაქალაქელებმა. სულ ორიოდ წუთით გასული ავტოავარიის მსხვერპლი გახდი, შვილო! არადა, როგორ გიხაროდა სიცოცხლე და როგორ ამაყოობდი, ქართველად რომ იყავი დაბადებული და როგორ ახმიანებდი ყველას სიცოცხლის, სიხარულის, მოძრაობის სურვილს აღუძრავდი შენს გვერდით მყოფებს.

მაგრამ, ვაი, შვილო, როგორ მხრებნამოყრილები დადიან შენი მეგობრები, როგორ უტირის გული შენს ერთადერთ საფიცარ დას, რომელიც უკვე ორი გოგონას დედაა. ვერ გივიწყებენ შენი ბიძაშვილები გიორგი და სანდრო, დეიდაშვილები, მამიდაშვილები... მაგრამ ჩვენს შორის ახლადფეხადგმული დადის შენი ბიძაშვილის სანდროს პატარა გურამი, რომელიც სიცოცხლის, ცხოვრების გაგრძელების სურვილს მარტო ჩვენ არ გვაძლევს – ისევ ხშიანობს შენს გვარში შენი მოსახელე, შვილო. დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო საფიცარო. ალბათ უფაღს შენნაირი ალალი, მოსიყვარულე და თბილი აღამიანი ეს-აჭიროებოდა იმქვეყნად. ნათელში გამყოფოს უფაღმა.

დედა – ზინკა

„მხიარული სტარტები“ კალენის გაოსასვლელად

9 დეკემბერს საგარეჯოს IV საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში სტარტი აიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის სპორტულმა შეჯიბრმა „მხიარულმა სტარტებმა“, რომელიც აიპ „საგარეჯოს სპორტ-გაერთიანებისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობის მიერაა ორგანიზებული. როგორც აიპ „სპორტ-გაერთიანების“ დირექტორმა გიორგი მისურაძემ გვითხრა: – „მხიარულ სტარტებში“ მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. მასში მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაკრები გუნდები. გუნდები დაყოფილი გვაქვს ასაკობრივ ჯგუფებად. პირველ ჯგუფში შედის VI-VII კლასების მოსწავლეები, მეორე ასაკობრივ ჯგუფში VIII-IX კლასები. ყოველი კლასიდან უნდა იყოს ორი ბიჭი და ერთი გოგონა. საერთოდ გუნდში 16 წევრია, აქედან ძირითადი წევრია 14 (12 მოსწავლე, 2 პედაგოგი) და 2 სათადარიგო მოსწავლე. შეჯიბრება ტარდება ოლიმპიური სისტემით და სპორტის შემდეგ სახეობებში: წინაღობათა ზოლი; კალათბურთის ბურთით გრუხე-

ბის წაქცევა; სლალომი ზოგზაგებით (გარბენა სახტუნაოთი, ბურთის ზოგზაგებით ტარება); წინაღობათა ზოლის გადალახვა; კაბინების ორთაბრძოლა; ბურთის ტყორცნა კალათში; კალათბურთი; ბაგირის გადაძაღვა. მსაჯებს შორის არიან: დავით ბაბუნიაძე, მამუკა მათიაშვილი, თემურ ხუციშვილი, რამაზ ხებრელაშვილი. „მხიარულ სტარტების“ I დღეს (9 დეკემბერს) ერთმანეთს შეხვდნენ საგარეჯოს II და მანავის საჯარო სკოლები, სადაც გამარჯვება საგარეჯოს II საჯარო სკოლას ხვდა წილად. მეორე

დღეს – 10 დეკემბერს პატარძელის და ხაშმის საჯარო სკოლების ნაკრები გუნდები, სადაც გამარჯვება პატარძელის საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა. ამავე დღეს შეხვდნენ ერთმანეთს საგარეჯოს III და შობლიანის საჯარო სკოლების გუნდები, სადაც გამარჯვება საგარეჯოელებმა მოიპოვეს. „მხიარული სტარტები“ 24 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება და მასში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლის ნაკრები გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა სიგელები.



იოსებ (კოლია) ბიორბის ძე მირცხულავა (დიდი სამამულე ომის 1941-1945წწ ვეტერანი)

თორმეტი წელია რაც აღარა ხარ. შენი წასვლა მოუშუშებელი ტკივილია ჩემთვის. შენს სახელს დავიწყებ არ უწერია. ძნელი ყოფილა უშენობა. ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა, უფაღმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

შენი შვილი ნათელა მირცხულავა

აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება სამძიბარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის თანამშრომელს თამარ მელაშვილს ძმის

შოთა მიტაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქტორი: **თინათინ ილაური**

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

